

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ენერგორესურსების მოხმარება საქართველოში

## 2024 წელი



01.12.2025

**ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები  
(2024 წელი)**


ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.1 პროცენტით შემცირდა და 14 234.1 მილიონი კილოვატ-საათი შეადგინა.

2024 წლის განმავლობაში მოპოვებულ იქნა 35.8 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (წინა წელთან შედარებით 8.0 პროცენტით ნაკლები), 177.8 ათასი ტონა — ქვანახშირი (წინა წელთან შედარებით 20.1 პროცენტით მეტი) და 15.9 მილიონი მ<sup>3</sup> — ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 3.0 პროცენტით ნაკლები).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება შემცირდა 7.2 პროცენტით და 1 034.6 ათასი მ<sup>3</sup> შეადგინა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში 2024 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, გაანგარიშებულს ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში. წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი (77.4 პროცენტი) მოდის ელექტროენერჯიზე, მეორე ადგილს იკავებს ბიოსანვავი და ნარჩენები (12.3 პროცენტი), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.

**წარმოებული ენერგორესურსები, 2024 წელს**  
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.12.2025

2024 წელს ელექტროენერჯის საბოლოო მოხმარებამ 13 006.1 მილიონი კილოვატ-საათი შეადგინა, რაც 6.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.


2024 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 3 404.3 მილიონი მ<sup>3</sup> (წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტით მეტი), ხოლო ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ ამავე პერიოდში 2 711.2 მილიონი მ<sup>3</sup> შეადგინა, რაც 7.7 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2023 წელთან შედარებით, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა მრეწველობის ცალკეულ დარგებში, მომსახურების და სოფლის მეურნეობის დარგში, კლება კი დაფიქსირდა საგზაო ტრანსპორტში.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 578.6 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი (წინა წელთან შედარებით 8.4 პროცენტით მეტი).

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 42.4 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე, შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (29.6 პროცენტი) და ელექტროენერჯია (20.5 პროცენტი), 3.5 პროცენტს შეადგენს ქვანახშირი, ხოლო დარჩენილი 4.0 პროცენტი მოდის ბიოსანვავზე, გეოთერმულ და მზის ენერჯიაზე.

### მოხმარებული ენერგორესურსები, 2024 წელს

(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)




## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.12.2025

2024 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის და შინამეურნეობების სექტორები, რომლებზეც მოდის მთლიანი მოხმარების, შესაბამისად 33.0 და 31.9 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 15.3 პროცენტი — მრეწველობის, 4.3 პროცენტი — მშენებლობის, 0.6 პროცენტი — სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 14.9 პროცენტი კი კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

**ენერგორესურსების მოხმარება სექტორების მიხედვით, 2024 წელს**  
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.12.2025

### ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება საქართველოს მიხედვით 2018 - 2024 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)

	ერთეული	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
<b>ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ</b>	<b>1000 ტნე</b>	<b>4 414.1</b>	<b>4 592.0</b>	<b>4 486.9</b>	<b>4 913.1</b>	<b>5 190.8</b>	<b>5 136.0</b>	<b>5 456.7</b>
მრეწველობა	1000 ტნე	925.8	887.5	860.4	884.4	938.1	827.4	835.2
	პროცენტი	21.0	19.3	19.2	18.0	18.1	16.1	15.3
მშენებლობა	1000 ტნე	185.9	245.5	201.9	193.6	222.6	229.8	235.6
	პროცენტი	4.2	5.3	4.5	3.9	4.3	4.5	4.3
ტრანსპორტი	1000 ტნე	1 367.4	1 418.5	1 359.1	1 503.0	1 613.5	1 709.7	1 798.2
	პროცენტი	31.0	30.9	30.3	30.6	31.1	33.3	33.0
შინამეურნეობები	1000 ტნე	1 227.3	1 300.7	1 408.2	1 507.7	1 575.6	1 586.1	1 742.2
	პროცენტი	27.8	28.3	31.4	30.7	30.4	30.9	31.9
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	1000 ტნე	514.9	535.5	412.9	544.5	551.0	520.2	594.7
	პროცენტი	11.7	11.7	9.2	11.1	10.6	10.1	10.9
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1000 ტნე	27.6	27.2	24.9	25.7	29.6	30.4	31.3
	პროცენტი	0.6	0.6	0.6	0.5	0.6	0.6	0.6
სხვა	1000 ტნე	165.2	177.1	219.5	254.2	260.4	232.4	219.5
	პროცენტი	3.7	3.9	4.8	5.2	5.0	4.5	4.0

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.12.2025

### მონმარაბული ენერგორესურსები 2018 - 2024 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8	5 136.0	5 456.7
ქვანახშირი	1000 ტნე	294.0	241.3	213.0	224.2	235.6	207.5	192.2
	პროცენტი	6.7	5.3	4.7	4.6	4.5	4.0	3.5
ნავთობპროდუქტები	1000 ტნე	1 267.4	1 379.3	1 313.3	1 391.1	1 406.3	1 487.7	1 616.2
	პროცენტი	28.7	30.0	29.3	28.3	27.1	29.0	29.6
ბუნებრივი გაზი	1000 ტნე	1 536.5	1 669.6	1 728.5	1 916.1	2 170.9	2 158.4	2 316.3
	პროცენტი	34.8	36.4	38.5	39.0	41.8	42.0	42.4
ელექტროენერგია	1000 ტნე	1 026.4	1 036.9	987.0	1 128.0	1 150.9	1 054.9	1 118.3
	პროცენტი	23.3	22.6	22.0	23.0	22.2	20.5	20.5
გეოთერმული, მზის	1000 ტნე	19.1	19.4	17.2	18.4	18.9	19.1	19.3
	პროცენტი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
ბიოსაწვავი და ნარჩენები	1000 ტნე	270.8	245.5	227.8	235.3	208.1	208.4	194.3
	პროცენტი	6.1	5.3	5.1	4.8	4.0	4.1	3.6

**შენიშვნა:** ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

### საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

#### საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჯოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: [dzhorzholiani@geostat.ge](mailto:dzhorzholiani@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)